ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>ხელშეკრულებას დაემატოს 18.6.3 და 18.6.4 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

18.6.3 ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვის მიზნით ანგარიშზე შეტანილი/ჩარიცხული თანხა, ანგარიშზე უნდა ფიქსირდებოდეს უცვლელად მინიმუმ 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად (დავალიანება არ ჩაითვლება დაფარულად);

18.6.4 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვის მიზნით ანგარიშიდან რიცხავს და/ან ანგარიშიდან გააქვს თანხა, ამავე ანგარიშზე თანხის უკან დაბრუნების (ჩარიცხვის / შეტანის) მიზნით, გადარიცხვის/გატანის ოპერაციასა და თანხის ჩარიცხვის/შეტანის ოპერაციას შორის უნდა იყოს დაცული მინიმუმ 30 (ოცდაათი) წუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად (დავალიანება არ ჩაითვლება დაფარულად).